ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 9/1

4 მარტი 2013 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის ტიციან ტაბიძის სახელობის #43 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თინათინ აბუთიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საკანცელარიო ნივთების შესყიდვა (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 საკანცელარიო საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 306,9(სამასექვსი,90) ლარს.

მათ შორის:

2.1.1 საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 30100000) ღირებულება შეადგენს 148,50 ლარს.

2.1.2. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 22800000) ღირებულება შეადგენს 51,55 ლარს.

2.1.3. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 22100000) ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2.1.4. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 37822300) ღირებულება შეადგენს 0,85 ლარს

2.1.5. საკანცელარიო საქონლის მიწოდების მომსახურების ღირებულება შეადგენს 6 (ექვს) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: სკოლის დირექტორის მ/მ თინათინ აბუთიძე.

4.2. მიმწოდებლის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ პირს წარმოადგენს: შპს „საქართველოს ფოსტის" საწყობისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი.

4.3. საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ლ.ასათიანის #50

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის # 43 საჯარო სკოლა მის: ქ თბილისი ლ. ასათიანის # 50 საიდენტიფიკაციო კოდი: 203850733 ბანკი: „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE55LB0121145152513000 ტელ: 299-88-65	შპს „საქართველოს ფოსტა" მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2 საიდენტიფიკაციო კოდი: 203836233 ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE88LB0113194522215000 ტელ: 2240904
დირექტორი თ აბუთიძე	გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე

მიღება – ჩაბარების

1. აქტი № ს-4570

ქ.თბილისი 13.03.2013წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი საწყობისა და აღრიცხვის სამსახურის განყოფილების უფროსის გივი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ თბილისი #43 საჯარო სკოლის წარმომადგენელი შემდგომში (შემსყიდველი) —— [illegible].

ვთანხმდებით მასზედ, რომ „მიმწოდებელმა" შემსყიდველს გაუწია 2013 წლის № 4 ხელშეკრულებით და 2013 წლის № 4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება კერძოდ :

1.) №0054744714 ზედნადებში მითითებული საქონლის მისაღებად გაწეული მიწოდების მომსახურება, რომლის ღირებულება შეადგენს 6 ლარს.

2.) გადასცა №0054744714 სასაქონლო ზედნადებში მითითებული საქონელი, რომლის ღირებულება შეადგენს 300,9 ლარს

შემსყიდველი:

[illegible]

ქ. თბილისის #43 საჯარო სკოლა
LEPL TBILISI TITSIAN TABIDZE PUBLIC SCHOOL #43
204850733

შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა"

მიმწოდებელი:

გ. კაპანაძე

შპს
"საქართველოს ფოსტა"
სენტრალური საწყობი 1

Filename: Document1
Directory:
Template: C:\Documents and Settings\User\Application Data\Microsoft\Templates\Normal.dot
Title:
Subject:
Author: user
Keywords:
Comments:
Creation Date: 09.06.2014 15:18:00
Change Number: 1
Last Saved On:
Last Saved By:
Total Editing Time: 0 Minutes
Last Printed On: 09.06.2014 15:19:00
As of Last Complete Printing
Number of Pages: 3
Number of Words: 2 (approx.)
Number of Characters: 15 (approx.)